# სახალხო ფურცელი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 771.

დამატების № 136

კვირა, 1 იანვარი 1917 წ.




არჩილ ჯორჯაძე.



გიორგი დეკანოზიშვილი.



ვლად. ლორთქიფანიძე.



შიო ჩიტაძე.



სიყვარული ზეციური და ამქვეყნიური, სურ. ტიციანო ვეჩელიოსი.

## ახალწლის ღამე

ქალაქი ხრიალებს, ქუჩებით იცინის,
ცას მოტყუებულს დაღრეჯით უღიმის,
ბებერი როსკიპი, ალერსის მსახური,
მთვრალია სიკვდილით... რად უნდა კახური?!..
„ახალწლის ღამეა!“ ლოთები ჰყვირიან...
„რა ბნელი ღამეა!“ ბავშვები სტირიან...
შეშლილი დედები განთიადს ელიან...
ქალაქის ქუჩები სისხლითა სველია...
შობის ხე მორთული აინთო სანთლებით,
მოკლულთა აჩრდილნი გაშუქდნენ კანდლებით...
ქვის სიცილს დააწვა ბნელ-ღამე პირშავი,
ვით ცოდოს ეფინოს სირცხვილის ჩარსავი...
ბაღდადით, ოქრომკედ-ნაკერი ალებით,
აიკრა ღვთაებამ ზიზღითა თვალები...

**სანდრო ყანჩელი.**

## დიალოგი

**ალკებიადეს.**

მითხარ მოხუცო, როცა გეხვევი წელზე, ვით მუხას
ვაზი ველური,
როდესაც გკოცნი თავდავიწყებით, ისე ვით მიჯნურს
თვისი მიჯნური
რად ხუჭავ თვალებს, რად ლულავ თვალებს,
ცეცხლი თუ გიწვავს გულსა
უჩინო?

**სოკრატეს.**

ალკებიადეს, ჩემო მშვენებავ, ალკებიადეს თვალისა
ჩინო,
მოგონებაა ეგ პირველ კოცნის, მოგონებაა
ეგ პირველ ვნების
ერთხელ ამ გვარად ჯერ კიდევ ჭაბუკს
წელს მომეხვია ღმერთი მშვენების—
იცი ხარბია გული კაცისა, თვალი ვერა
სძლევს საგანთ სიშორეს,
თვალს ვხუჭავ, მინდა ერთ ღმერთს ვუმზირო
თვალს რო ავახელ, ისევ მეორეს.

**კ. აბაშისპირელი.**






ნუგეში.





**სანდრო შანშიაშვილი:** ბურჟუაზია თუ თ. აზნაურობა? პროზა თუ პოეზია?



**ნ. ჟორდანია:** საქართველო სად არის?



**ტყუპი ფალავანი** (მიხ. ჭავჭავაძე და პ. გოთუა).



**რუსული ოპერეტი და ქართული წარმოდგენა „ახალ კლუბში“**